ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N11

2021 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა

და წლიური საწყისი საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 2 (ორი) წლის ვადით, შპს „თიბისი ფეი“-ს ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N94-ის (ს/კ N20.42.18.054) ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N108-ის (ს/კ N20.42.06.847), ქ.ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი N2-ის (ს/კ N20.42.06.405), ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა N111-ის (ს/კ N20.42.06.392), ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა N10-ის (ს/კ N20.42.06.347), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N3-ის (ს/კ N20.42.07.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N4-ის (ს/კ N20.42.08.242), ქ.ქობულეთი, აბაშიძის ქუჩა N26-ის (ს/კ N20.42.08.237), მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე თითო კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (სულ ჯამში 6,0) სწრაფი გადახდის ტერმინალების განთავსების მიზნით;

2. შპს „თიბისი ფეი“-სათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ტროტუარების სახით რეგისტრირებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან სარგებლობაში გადასაცემი მიწის ნაკვეთების საწყისი წლიური სარგებლობის ქირის საფასური განისაზღვროს 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით;

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი